

m² უკვე 15 წელია საქართველოში ქმნის კომფორტული ცხოვრების ახალ, თანამედროვე სტანდარტს. კომპანიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე, რაც განპირობებულია მისი გუნდის მაღალი პროფესიონალიზმითა და ინოვაციური მიდგომებით.

გადადი **ბმულზე** და გაიგე მეტი კომპანია m² - ზე.

ხოლო თუ მუდმივად ეძებ საქმის გაუმჯობესების შესაძლებლობას, იჩენ ინიციატივას და შენთვის ცვლილებები საინტერესო გამოწვევაა მაშინ შემოუერთდი m² ის გუნდს!

m² აცხადებს ვაკანსიას სამშენებლო ობიექტის ტექნიკური ზედამხედველობის მენეჯერის თანამდებობაზე.

ძირითადი მოვალეობები:

- მშენებლობაზე დაგეგმილი და შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის შეფასება;
- ყოველკვირეული ანგარიშგების მომზადება მშენებლობის პროგრესის შესახებ, შესრულების ვადების შედარება მშენებლობის დადგენილ გრაფიკთან;
- ობიექტზე ინსპექტირების ორგანიზება და მართვა, შესაბამისი ანგარიშგებების მომზადება;
- მშენებლობის/რემონტის კლიენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი და უზრუნველყოფა;

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სამშენებლო ინჟინერია, არქიტექტურა);
- Cad (AutoCAD; ArchiCAD) პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება.
- სამშენებლო ობიექტის ზედამხედველობის გამოცდილება;
- სამშენებლო/დეველოპერულ კომპანიაში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესად.

აუცილებელი ცოდნა და უნარები:

- აუცილებელია საოფისე პროგრამების ცოდნა: MS Office;
- სამშენებლო–ტექნიკური ნორმები, წესები და სტანდარტების ცოდნა;
- პროექტებისა და ხარისხის მართვის გამოცდილება;
- აზრის გასაგებად და არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი;
- პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა;
- სტრესულ გარემოში მუშაობის შესაძლებლობა

თუ თვლით, რომ აკმაყოფილებთ ვაკანსიის მოთხოვნებს და გაქვთ სურვილი
შემოუერთდეთ m² - ის გუნდს, გთხოვთ 26 ოქტომბრამდე გამოაგზავნოთ CV
ელექტრონულ მისამართზე: mgelashvili@gre.ge და წერილის სათაურში მიუთითოთ
ვაკანსიის დასახელება „ტექნიკური ზედამხედველობის მენეჯერი“